



რას ნიშნავს ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოლაპარაკებების დაწყებაზე დადებული ვეტო საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული მისწრაფებებისთვის?

15 ოქტომბერს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მინისტრებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე, რომელსაც, შესაძლოა, მათი ევროკავშირში გაწევრიანება მოჰყოლოდა. მაშინ, როდესაც ალბანეთთან მოლაპარაკებების დაწყებას რამდენიმე ქვეყანამ არ დაუჭირა მხარი, ჩრდილოეთ მაკედონიის საკითხი მხოლოდ საფრანგეთმა დაბლოკა. შეხვედრის შემდეგ, საფრანგეთი ყურადღების ცენტრში მოექცა, როგორც ევროკავშირის წევრი ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც მოლაპარაკებების დაწყება ორივე სახელმწიფოს მიმართ დაბლოკა. შეხვედრის მომდევნო დღეს, საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა, ევროკავშირში ახალი წევრების მიღების სისტემას „უცნაური“ უწოდა და აღნიშნული პროცედურის რეფორმირების საჭიროებას გაუსვა ხაზი.

ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფოს ამგვარი სკეპტიკური დამოკიდებულება შემდგომი გაფართოების მიმართ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებზე. ახალი აღმოსავლეთ ევროპის მინიმუმ სამი ქვეყანა - საქართველო, მოლდოვა და უკრაინა - ისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ, ან სხვა ისეთი პერსპექტივისკენ, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის ფორმატს სცდება. თუმცა, ამ ქვეყნების ენთუზიაზმს ევროკავშირი ბოლომდე არ იზიარებს. ხსენებული ვეტო ბალკანეთის ორ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე, კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩენს იმ განსხვავებულ მოლოდინებს, რომელიც ერთი მხრივ, ევროკავშირს და მეორე მხრივ, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის არსებობს ამ უკანასკნელთა ევროკავშირში გაწევრიანებასთან მიმართებით.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის თხოვნით, შერჩეულმა ექსპერტებმა გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ესტონეთიდან და საქართველოდან უპასუხეს შემდეგ კითხვებს:

- რას ნიშნავს ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოლაპარაკებების დაწყებაზე დადებული ვეტო საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული მისწრაფებებისთვის და როგორ შეუძლია ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ნდობის შენარჩუნება?
- ევროკავშირში გაფართოებასთან დაკავშირებული გადაღლილობისა და ახალი ინიციატივების არარსებობის ფონზე, რა შეიძლება, გააკეთონ საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ხელისუფლებებმა, რათა არ შეფერხდეს რეფორმების პროცესი და შეინარჩუნონ პროევროპული განწყობა საზოგადოებაში?

დოქტ. თომას რისე, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი, ოტო ზურის პოლიტიკის მეცნიერების ინსტიტუტი; პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების განყოფილების დეკანი, ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტი.

ევროკავშირის საბჭოს 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებას ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, კატასტროფული შედეგი ექნება დასავლეთ ბალკანეთისთვის. 1990-იანი წლების ბალკანური ომების შემდეგ, ევროკავშირმა დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებს შესთავაზა ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის განკუთვნილი მთავარი სტიმული. ალბანეთმა და ჩრდილოეთ მაკედონიამ ყველა აუცილებელი პირობა დააკმაყოფილეს იმისათვის, რომ მოლაპარაკებები დაწყებულიყო ევროკავშირში გასაწევრიანებლად და ამის ფონზე, ევროკავშირის მხრიდან დანაპირების შეუსრულებლობა ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელის დაპირება არ არის სანდო. ეს, ასევე, მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირს, გეოსტრატეგიული თვალსაზრისით, ნაკლებად შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს რუსეთის (და ჩინეთის) ძალისხმევას, რომელიც დასავლეთ ბალკანეთში გავლენის სფეროს გაფართოებას ცდილობს. ახლა, მხოლოდ იმის იმედი შეიძლება გვქონდეს, რომ ევროკავშირის ახალი პრეზიდენტი, ურსულა ფონ დერ ლეინი, თავის პირობას შეასრულებს და ევროკავშირის საბჭოს ამ გადაწყვეტილების შეცვლას შეეცდება.

რაც შეეხება საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას, ევროკავშირის პოზიცია მათ შესაძლო წევრობასთან დაკავშირებით, საკმაოდ დიდი ხანია ბუნდოვანებითაა მოცული. ერთი მხრივ, ევროკავშირი და მისი მნიშვნელოვანი წევრები ამ ქვეყნებს (მათ შორის, საქართველოს)

მოიხსენიებენ „ევროპულ“ სახელმწიფოებად (იხ. გერმანიის პრეზიდენტის, შტაინმაიერის, უკანასკნელი ვიზიტი თბილისში), რაც, სამართლებრივ ჭრილში თუ შევხედავთ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს წევრობის პერსპექტივას აძლევს. მეორე მხრივ კი, ევროკავშირი ბევრს არაფერს აკეთებს ამ სამი ქვეყნის ევროპული მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. დასავლეთ ბალკანეთის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ ამდაფრებს ამ ბუნდოვანებას და მას, შესაძლოა, ჰქონდეს სერიოზული გეოსტრატეგიული შედეგები. რა შეიძლება გაკეთდეს? საქართველომ უნდა განაგრძოს ევროპისკენ სწრაფვა და თანდათანობით, ევროკავშირის რიტორიკა თავისავე სასარგებლოდ გამოიყენოს. როგორც კვლევებით დასტურდება, სწორედ ევროკავშირის რიტორიკის სათავესოდ გამოყენების შედეგი იყო ის, რომ ცენტრალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს გაწევრიანების პერსპექტივა ცივი ომის დასრულების შემდეგ მალევე შესთავაზეს (იხ. ფრენკ შიმელფენიგის ნაშრომი). ასევე, იმისთვის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა, მათ შორის საქართველომ, შეინარჩუნონ გაწევრიანების პერსპექტივა, აუცილებელია, რომ მათ განაგრძონ ლიბერალურ დემოკრატიებად ტრანსფორმაცია (კოპენჰაგენის კრიტერიუმები!). ევროკავშირი შეძლებს მუშაობის არაკრიზისულ რეჟიმში გადასვლას მას შემდეგ, რაც, ეფექტურად გაუმკლავდება არსებულ კრიზისებს, მათ შორის, ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლის საკითხს. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით დისკუსიები არ არის უადგილო. თუმცა, პირველ რიგში, უნდა გადაიხედოს ალბანეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.

დოქტ. ლორა დელკური, ასოცირებული პროფესორი, პარიზის უნივერსიტეტი 3 - ახალი სორბონა.

ეს ვეტო აშკარა ნიშანია იმისა, რომ ევროკავშირის ზოგიერთი წევრი სახელმწიფო საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს არსებული მეთოდებითა და პროცედურებით ევროკავშირის შემდგომ გაფართოებას. ისეთ ქვეყნებში, როგორც საფრანგეთია ამგვარი სკეპტიციზმი დიდი ხანია არსებობს და მას ღრმა ფესვები აქვს. საფრანგეთი გაფართოების არსებული პროცედურებითა და გზებით უკმაყოფილოა და პრიორიტეტს ევროკავშირის ინტეგრაციის გაღრმავებას ანიჭებს. იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთის ვეტო ძალაში დარჩება, ევროკავშირი ბალკანეთში სანდოობას დაკარგავს, რადგან, თავის დროზე, დასავლეთ ბალკანეთის სახელმწიფოებს მკაფიოდ დაჰპირდნენ ევროპულ პერსპექტივას. საფრანგეთის ვეტო კიდევ უფრო პრობლემურად გამოიყურება იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირმა ცალსახად დაუკავშირა ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოლაპარაკებების დაწყება ამ უკანასკნელის საბერძნეთთან შეთანხმების მიღწევის საკითხს, რაც თებერვალში წარმატებით დასრულდა.

საფრანგეთმა ახლახანს წამოაყენა კონკრეტული ინიციატივები გაფართოების პროცესის რეფორმირების შესახებ. საფრანგეთი გვთავაზობს მიდგომას, რომელიც რამდენიმე ფაზას მოიცავს. უფრო კონკრეტულად კი, ეს მიდგომა გულისხმობს კანდიდატი სახელმწიფოების თანდათანობით ინტეგრაციას (შვიდი საფეხურით) ევროკავშირის პოლიტიკასა და პროგრამებში იმგვარად, რომ ცალკეული სექტორები რეფორმირებას დაექვემდებაროს. ყველა საფეხურის გავლის შემდეგ, კანდიდატი ქვეყნები სრულად გაწევრიანდებიან ევროკავშირში. თუ ევროკავშირში შეთანხმდებიან საფრანგეთის წინადადებაზე (რაც ჯერ არ

მომხდარა), ეს ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკას ახალ ბიძგს მისცემს. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა ხშირად გამხდარა კრიტიკის ობიექტი იმის გამო, რომ ზედმეტად ტექნოკრატიულია და ვერ უზრუნველყოფს [კანდიდატი ქვეყნების] სათანადო გარდაქმნას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან მიმართებაში, როგორცაა კანონის უზენაესობა და ფუნდამენტური უფლებები (ეს საკითხები საფრანგეთის მიერ შემოთავაზებული წინადადების პირველ საფეხურშია ასახული).

საფრანგეთის წინადადება, ბალკანეთის გარდა, საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინისთვისაც. გამომდინარე იქიდან, რომ აღმოსავლეთ პარტიონიზმს არ აქვს მკაფიო საბოლოო მიზანი და აღნიშნულ ქვეყნებს სჭირდებათ უფრო ძლიერი მოტივაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ გაწევრიანების პერსპექტივა ჯერჯერობით არ ჩანს, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინისთვის რეფორმების ტემპის შენარჩუნება მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებების სახით საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ უპრეცედენტო რაოდენობის ვალდებულებები აიღეს და ამ რეფორმების განხორციელებას დრო დასჭირდება. თუმცა, ძალიან რთული იქნება რეფორმების ტემპის შენარჩუნება, თუ ევროკავშირი რაიმე ახალ პერსპექტივას არ შესთავაზებს ასოცირებულ ქვეყნებს (არ აქვს მნიშვნელობა რა ფორმით). შესაძლოა პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ საფრანგეთის მიერ შემოთავაზებულმა რამდენიმეფაზიანმა მიდგომამ, შესაძლებელია, ახალი ბიძგი მისცეს ევროკავშირსა და ასოცირებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. თუ ევროკავშირი გადაწყვეტს, რომ ხსენებული მიდგომა ასოცირებულ ქვეყნებთან მიმართებით გამოიყენოს, ეს ხელს შეუწყობს პარტიონი

ქვეყნების მიერ მოთხოვნილი რეფორმების პრიორიტეტიზაციას და ასოცირებულ ქვეყნებს შესთავაზებს ახალ პერსპექტივებს ევროკავშირში სრული, თანდათანობითი ან შერჩევითი ინტეგრაციისთვის.

დოქტ. ეკი ბერგი, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი, ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი

გაფართოების საკითხს, შეიძლება, რამდენიმე განსხვავებული კუთხით შევხედოთ. გაფართოება არ არის დამოკიდებული მხოლოდ იმ პოტენციური კანდიდატი სახელმწიფოების არსებობაზე, რომლებიც აკმაყოფილებენ წევრობის კრიტერიუმებს. ამის გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, თუ რამდენად აქვს ევროკავშირს ახალი წევრების მიღების შესაძლებლობა თან იმგვარად, რომ გაფართოების ახალი ტალღით საფრთხე არ შეექმნას ინტეგრაციის მიმართულებით აქამდე მიღწეულ შედეგებს. იმისთვის, რომ საფრთხე არ შეექმნას ისეთ მიღწევებს, როგორც არის ერთიანი ბაზარი, შენგენის უვიზო მიმოსვლის სივრცე და ევროზონა, საჭიროა შემდგომი რეფორმები, რომლებიც უშუალოდ ინსტიტუციურ მექანიზმებსა და ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე იქნება ორიენტირებული. ამგვარ რეფორმებს კი, მოჰყვება წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტის კიდევ უფრო მეტად დათმობა ევროკავშირის სასარგებლოდ. ამგვარი მოცემულობა ნიშნავს „უარს“ შემდგომ რეფორმებზე და, შესაბამისად, „უარს“ შემდგომ გაფართოებაზე.

არსებული დილემის („გაფართოება-რეფორმა“) მიუხედავად, ევროკავშირი (როგორც ზესახელმწიფოებრივი ორგანო) მაინც მისწრაფვის შემდგომი გაფართოებისკენ, რადგან

სხვაგვარად, შესაძლოა, შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ ინტეგრაციის პროცესმა მიაღწია საბოლოო სტადიას, რომელსაც შემდგომში, შესაძლოა დეზინტეგრაცია მოჰყვებს. მეორე მხრივ, ევროკავშირი (როგორც მთავრობათაშორისი ორგანო) ბლოკავს ყველაფერს, რაც წევრი სახელმწიფოების ამომრჩევლებში გაფართოებასთან დაკავშირებულ გადაღლასთან ასოცირდება. თუ ამგვარი პროცესები გაგრძელდება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ახალი გაფართოება განხორციელდეს ახლო მომავალში.

ყოველივე ამას, საკმაოდ ნეგატიურ შედეგამდე მივყავართ: ევროკავშირი გასცემს ისეთ დაპირებებს, რომლის შესრულებაც არ შეუძლია. ევროკავშირი, ამგვარად, კარგავს სანდოობას და რეფორმების პროცესის მუხტის შენარჩუნების შესაძლებლობას თავის სამეზობლოში. პოტენციური კანდიდატებისთვის დასჯა წახალისების გარეშე (sticks without carrots) არ არის მიმზიდველი; ის, რომ რეფორმები თავად პოტენციური კანდიდატი ქვეყნებისთვის არის სასარგებლო არ წარმოადგენს საკმარის სტიმულს. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი და გამართლებულია შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს ევროკავშირმა სანდოობა აღმოსავლეთ სამეზობლოში და რა უნდა გააკეთონ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მთავრობებმა რეფორმების მუხტისა და პროევროპული სენტიმენტების შესანარჩუნებლად.

დროა, რომ, ერთი მხრივ, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა ევროკავშირში, ხოლო, მეორე მხრივ, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მთავრობებმა გაითავისონ, რომ:

1. დანაპირების შეუსრულებლობა და, შედეგად, სანდოობის დაკარგვა უფრო მეტად აზიანებს ევროკავშირის იმიჯს,

ვიდრე რეალობისთვის თვალის გასწორება და გაფართოების პროცესის შენელება. ევროკავშირმა უნდა განაგრძოს ინტეგრაციის პროცესი „ყველა მიმართულებით გარდა ინსტიტუტებისა“. ეს იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მთავრობებმა შეძლონ რეფორმების პროცესის გაგრძელება და, ასევე, ამ ქვეყნების მოქალაქეებმა ყოველდღიური ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება იგრძნონ. მოთხოვნები (sticks) და სარგებელი (carrots) ევროკავშირის მხრიდან კარგად დაბალანსებული უნდა იყოს.

2. უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მთავრობებმა უნდა გააცნობიერონ, რომ იმედგაცრუება უფრო მეტ ზიანს აყენებს რეფორმისტული კურსის მიმართ ერთგულებას, ვიდრე მოლოდინების მართვა. ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა არ უნდა იქნეს პოლიტიკური ქულების დასაწერად გამოყენებული: მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ცდილობენ სახელმწიფოები ევროპული კურსის მიმართ ერთგულების დემონსტრირებას, წევრობა, შესაძლოა, მაინც მიუღწევად ამოცანად დარჩეს. თუმცა, რეფორმების მუხტის შენარჩუნება მაინც შესაძლებელია, როდესაც რიგითი მოქალაქეები საკუთარ თავზე გრძნობენ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის, თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიზაციისგან მიღებულ სარგებელს. თუ ყოველივე ეს მნიშვნელოვანია, რეფორმისტებს შეუძლიათ ხალხის თვალში ლეგიტიმაციის მოპოვება იმის დაპირების

გარეშეც, რისი შესრულებაც მათ ძალებს აღემატება.

დოქტ. სერგი კაპანაძე, საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საფრანგეთის ვეტოს ჩრდილოეთ მაკედონიასა და ალბანეთთან მოლაპარაკებების დაწყებაზე არ აქვს პირდაპირი გავლენა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე. თუმცა, საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში ამან, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის ფარგლებში დღევანდელი სტატუს კვოს მთავარი პრობლემა ის გახლავთ, რომ ფორმატმა ამოწურა არსებული ინსტრუმენტები. მიუხედავად იმისა გაიზრდება თუ არა მიგრანტების რიცხვი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან ევროკავშირში, ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულებების განხორციელება გაგრძელდება. ასევე, გაგრძელდება თავისუფალი სავიზო რეჟიმიც. ზემოხსენებული ვეტო, გარკვეულწილად, ქმნის ვაკუუმს შემდგომი ინტეგრაციისთვის. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს სურთ ეს ფორმატი (EaP) გარდაიქმნას იმგვარ პლატფორმად, რომელიც უფრო მეტ ფინანსურ დახმარებას გაუწევს მათ და საბოლოოდ, ევროკავშირში გაწევრიანებით დასრულდება. მეორე მხრივ, მაკრონის ვეტო ნიშნავს, რომ ევროპული საბჭო რაიმე ახალ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას არ მიიღებს უახლოეს მომავალში. მეორე სავარაუდო პრობლემა, რაც, შესაძლოა, მოჰყვეს მაკრონის უარს არის ის, რომ საფუძველი გამოეცალოს იმ იდეას, რასაც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები იმედით შეჰყურებდნენ უკანასკნელი

რამდენიმე წლის მანძილზე - კერძოდ, ევროკავშირის წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთება და შემდეგ, დიპლომატიის მეშვეობით ევროკავშირის დარწმუნება, რომ, როცა ხელსაყრელი დრო დადგება, წევრობაზე მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს. უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევა, ამ კუთხით, საკმაოდ არარელევანტურად გამოიყურება. მით უმეტეს ახლა, ევროკავშირში გაზრდილი სკეპტიციზმისა და მოლდოვის ხელისუფლების პრორუსული ძალების მიერ ხელში ჩაგდების ფონზე.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებმა ევროკავშირს უნდა აჩვენონ, რომ მათი რწმენა ევროპული კურსისადმი მტკიცეა. თუმცა, ორი ურთიერთდაკავშირებული გამოწვევა მაინც რჩება: პირველი, დემოკრატიის ხარისხი და მეორე - რუსეთის გავლენა. მოლდოვამ მოახერხა ოლიგარქის ხელისუფლებისგან ჩამოშორება, თუმცა, ეს პრორუსული და პროევროპული ძალების ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი. მათი ხანმოკლე თანამშრომლობა კი, პრორუსული ვექტორის გაძლიერებითა და პროევროპული პარტიის მიერ დაკავებული სამთავრობო თანამდებობების დაკარგვით დასრულდა. რაც შეეხება საქართველოს, ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი მუდამ კრიზისულ სიტუაციაშია, რომელიც, შეიძლება ითქვას, თავად მისი შექმნილია. ანტისაოკუპაციო დემონსტრაციებმა, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის დაპირებამ, დემონსტრაციების ძალადობრივად დაშლაზე პასუხისმგებელი შინაგან საქმეთა მინისტრის დაწინაურებამ და პროპორციული საარჩევნო სისტემის შესახებ დანაპირების უკან

წაღებამ გამოიწვია ქართული პოლიტიკის რადიკალიზაცია და პოლიტიკური პარტიებისთვის დიალოგის შესაძლებლობა დახურა. ამავდროულად, პრორუსული ძალები საკმაოდ მოძლიერდნენ და შეეცდებიან, რომ 2020 წლის არჩევნებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ. რაც შეეხება უკრაინას, ახალი პრეზიდენტისა და მისი კაბინეტის ძალისხმევის მიუხედავად, ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება კორუფცია. ასევე, უკრაინაში არსებობენ საკმაოდ ძლიერი პრო-რუსული ძალები, რომლებიც თავიანთ შანსს ელოდებიან, რომ პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ ისევე, როგორც ეს რამდენიმე წლის წინ გააკეთეს. მკაფიო დემოკრატიული კურსი და პრო-რუსული ძალებისა და მათი ნარატივების იზოლაცია, შესაძლოა, წარმოადგენდეს გზას, რომელიც მიიზიდავს ევროკავშირს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისკენ. თუმცა, ყოველივე ეს არც ერთი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნის დღის წესრიგში არ დგას. რაც შეეხება იმას, თუ რა უნდა ქნას ევროკავშირმა, მნიშვნელოვანია პოლიტიკური წნეხის გაძლიერება და პირობითობის პრინციპის (conditionality) გამოყენება რეფორმების ხელშეწყობისთვის. ასევე, ევროკავშირმა უფრო მკაფიოდ უნდა დაარქვას თავისი სახელი სხვადასხვა მავნე პრაქტიკას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხი არ წარმოადგენს საკმარისად პრიორიტეტულ საკითხს ევროკავშირის დღის წესრიგში, მოსალოდნელია სტატუს კვოს შენარჩუნება. თუმცა, შესაძლოა, მოვლენები კიდევ უფრო ცუდი სცენარიტაც განვითარდეს, რადგან ევროკავშირში შეიმჩნევა შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებული გადაღლა.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

“რას ნიშნავს ალბანეთთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან მოლაპარაკებების დაწყებაზე დადებული ვეტო საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ევროპული მისწრაფებებისთვის?”. ექსპერტთა კომენტარი #9, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, ნოემბერი 2019.

© Georgian Institute of Politics, 2019

Tel: +995 599 99 02 12

Email: info@gip.ge

www.gip.ge